№ 133. 27 ივნისი, შაბათი. 1866—1881 27 ივნისი, შაბათი. № 133.

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზედ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან ხილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

	წელიწადში.	6 თვეს.	3 თვეს
„დროება“ და „ივერია“ ერთად	14 მან.	8 მ.	5 მ.
ცალკე „დროება“	9 მან.	5 მ.	3 მ.
ცალკე „ივერია“	7 მან.	4 მ.	2 მ.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., [illegible] მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., [illegible] ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

კვირას, 28 ივნისს

ალექსანდროვის ბაღში

იქნება მხატვრობითი და მუზიკალური

საღამო

ცოცხალი სურათებით და სამხედროს რამდენიმე ხოროს და ზურნის მონაწილეობით.

შესასვლელი ფასი 20 კაპ.

სალდათები და ბავშვები იხდიან ნახევარს.

დაწვრილებით ცნობები იქმნება ცალკე პროგრამმით გამოცხადებული.

სეირნობა გაიხსნება საღამოს 5 საათზე.

შემოსავალი ბავშვების თავ-შესაფარი სადგომის (პრიუტის) ასაშენებლად არის დანიშნული, გარდაცვალებულის ხელმწიფის ალექსანდრე II სახელობაზედ.

ტელეგრამმები

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურღი, 25 ივნისს. ხელმწიფე იმპერატორმა ინახულა გუშინ სპარსეთის შაჰის ელჩი ასედულა-ხანი, რომელმანც ჩააბარა რწმუნებითი გრამოტა.

გოლოსს სწერენ ხარკოვიდამ, აქაურ ბანკის საქმე ცუდათ მიდისო; ამბობენო, რომ ბევრი ისეთი სესხი გაუცია, რომლის ამოგება არ შეიძლებაო; სხვათა შორის, ბანკის დირექტორზე ნაკიტინზე ათი ათასი თუმანი ვალი არის ბანკისაო.

ჩერნიგოვი, 24 ივნისს. წლევანდელ იარმუკაზე კარგი ვაჭრობა იყო.

ბელგრადი, 24 ივნისს. მთავარმა მილანმა ვენგრიის პრეზიდენტს ტისსას ტაკოვას ორდენი უბოძა სერბიის მთავრის დაბრუნების შემდეგ დიპლომატიური ელჩები გამოიცვლება.

სოფია, 24 ივნისს. ამბობენ, „დიდი საერო კრება“ 10 ივლისამდინ არ გაიხსნებაო. ზოგიერთები კი ამტკიცებენ, რომ ეს კრება სრულებითაც არ გაიხსნებაო.

ლონდონი, 24 ივნისს. ოსმალეთმა ხუთი ჯავშნიანი ხომალდი გაგზავნა ტრიპოლიში მშვიდობიანობის დასაცველად ადგილობრივ არაბებში და თუ საჭირო იქნება უცხო სახელმწიფოს ტრიპოლში შემოსვლის საწინააღმდეგოთაო.

პარიჟი, 24 ივნისს. საფრანგეთსა და ოსმალეთს შორის უკმაყოფილება ჩამოვარდა. ხონთქარმა არ მიიღო საფრანგეთის ელჩი ტისსო. ამბობენ, ხონთქარმა სთქვაო: „არ მსურს, რომ ეს კაცი ოდესმე ვნახოვო!“ როდესაც ეს ტისსომ შეიტყო, სთქვაო, რომ „ხონთქარი საქმით გაიგებს—თუ რას ნიშნავს დიდებულ სახელმწიფოსთან განხეთქილება.

პეტერბურღის ბირჟა, 25 ივნისს.

ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემისა —	95 — „
მეორესი — — — —	94—25
მესამესი — — — —	94—50
მეოთხესი — — —	94—12
აღმოსავლეთის პირვ.—	92—37
აღმოსავლეთის მეორე	92—12
აღმოსავლეთის მესამე	92—37
ოქრო, 1/2 იმპერიალი	7—84
შინაგანის 5% სესხი ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი სესხის — —	227— „
მეორე სესხის — — —	220— „

1 მანეთი ღირს:

ლონდონი — —	24—94	პენსი
ბერლინი — —	123— „	პფენიგი
ჰამბურღი — —	214—12	ცენტი
პარიჟი — — —	264— „	სანტიმი
კავკასიის კერასინი — — —		

უწმიდესის სინოდის განკარგულება

ამ ერთი წლის განმავალობაში უწმიდესმა სინოდმა ორი ახალი განკარგულება გამოსცა. პირველი შეეხო კერძოთ საქართველოს საეპარქიო სამღვდელოებას, ჩამოართვა უფლება სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველთა ამორჩევისა და ეს უფლება მიანიჭა ადგილობრივ ეგზარხოსს. მეორე განკარგულება კი კერძო არ არის, ეს საზოგადოთ მთელ იმპერიის სამღვდელოებას ეხება: ამ წლის „დროების“ მესამე ნომერში რუსული გაზეთიდამ იყო გადმობეჭდილი ცნობა, რომ ობერ-პროკურორის წინადადებით უწმიდესს სინოდს უკვე გარდაუწყვეტია, ჩამოერთვას მთელი იმპერიის სამღვდელოებას დიდის ხნიდამ მათდამი მინიჭებული უფლება თავიანთ უფროსების (ბლაღოჩინების) ამორჩევისა, და ეს ამორჩევითი უფლება მიენიჭა არქიელებსაო.

რა კი უწმიდესის სინოდის განკარგულებაზედ ჩვენ არა გვეთქმის-რა, ამისათვის ისევ უკან—სამღვდელოებისაკენ უნდა მოვიხედოთ, და მათში უნდა ვეძებოთ მთავარი მიზეზი, რომელმანც გამოიწვია ეს ახალი წესდება. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ რეფორმებსაც უთუოთ წინ რაიმე საფუძველი უდევთ, და უდევთ სამღვდელოების მიერ, ისეთი, რომელიც აიძულებს უწმიდესს სინოდს მოახდინოს ამ გვარი ცვლილება.

მოსაზრებით ეს ასე უნდა იყოს, მაგრამ ნამდვილად და ფაქტიკურად ჯერ არავის არ შეუძლიან ამ მთავარ მიზეზს ხელი მიათითოს.

მართლა, რა არის ის საფუძველი? რა არის ის მიზეზები? რა შეცდომა და დანაშაულობა მიუძღვის სამღვდელოებას ისეთი, რომლის-გამოთაც ხელიდამ გამოეცალათ ეს მათდამი კუთვნილი უფლება?

ამის გამოკვლევა და ნამდვილი მიზეზის მიგნება ყველაზე უფრო თვითონ სამღვდელოებას შეუძლიან, თუ კი გულს-მოდგინეთ ეცდებიან, და არ მიაწერენ ამ ცვლილებას ზეციურ მოვლენას. სამღვდელოება ზნეობით მოვალეა გულ-მოდგინეთ შეუდგეს ამ ცვლილების მიზეზების გამოკვლევას, და თუ ის მიზეზები აღმოჩნდა რომელიმე მათი მოქმედების ნაყოფი, უნდა ეცადონ აღმოკვეთონ ძირითთურთ.

ეს გარდაწყვეტილება ჯერ-ჯერობით არ ეხება საქართველოს ოლქის სამღვდელოებას; მაგრამ დიდი შორს გამჭვრეტელობა არ არის საჭირო, რომ სთქვას კაცმა: დღეს თუ არა, ხვალ მაინც ჩვენის მხრის სამღვდელოებაზედ გავრცელდება. ამისთვის უფრო სასურველია აღმოჩენილ იქნეს ის მიზეზები, რომელმანც ძველს კანში დააბრუნა ჩვენი სამღვდელოება. ზემოთაც ვსთქვით, სამღვდელოება თუ კი მოინდომებს, უფრო სწორ მიზეზებს მიაგნებს ამ გარემოებისას; მაგრამ ჩვენ მაინც გვსურს ჩვენი მოსაზრება გამოვსთქვათ ამ საგნის შესახებ, და მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება ჩვენი სულიერი მამებისა: მე მგონია, იმ მიზეზთ შორის, რომ-

«დროების» ფელეტონი, 27 ივნისს.

ბათუმის ამბები

(დასასრული *)

ჩვენში ყოველი დაწესებულება ასე: დაიწყება ყველა კეთილის მიზნით, მაგრამ ჩნდებიან იმისთანა პირები, რომელნიც იმ წესით ორს თუ სამს აბედნიერებენ, ასს და ორასს კი მიწასთან ასწორებენ,—აღატაკებენ.

მოვიყვანთ მაგალითს: ვისაც ოცი და ოც-და-ათი წელიწადი უცხოვრიათ ბათუმში, ისინი ერთ-ჯერაც არ მოსწრებიან, რომ ბათუმში ცეცხლი გაჩენილიყოს, მაგრამ ჩვენ ვინც მოვესწარით ამ „ცეცხლისაგან დამცველი საზოგადოებების“ დაარსებას, ეს მესამე ჯერ ვხედავ ცეცხლს და ვიდრე 150 მაღაზია და სახლი გადიწვა, რომლის წყალობით ზოგი ჯიბის გამსებას აპირებს და ზოგი კი მომატებული რიცხვი — გაღატაკებული, გულ-ხელ დაკრეფილი, ყოვლად უნუგეშოთ დაიარება ბათუმის ქუჩებში.

დღეს ბათუმში ორი საზოგადო კრება არის: ერთი „რუსსკი ობშჩესტვო“, რომლის აგენტათ არის ბ-ნი კობილიანსკი, და მეორე „სალამანდრა“, რომლის აგენტია ბ-ნი ჭაჩუხოვი. პირველი საქონელსაც და უძრავ ქონებასაც იღებს, მეორე მარტო უძრავ ქონებას. დღემდი დამწვრებში მარტო ბ-ნი კობილიანსკის იყო და ჭაჩუხოვის აღებული არაფერი დამწვარა; ეს იმისთვის, რომ ამბობენ, „ბ-ნი ჭაჩუხოვი იმ ფასათ აფასებს აღებულ მამულს, რომ პატრონს იმისი დაწვა ხელს არ მისცემსო!“ და ვისაც კი ბ-ნ კობილიანკისთან ჰქონდა მიცემული, იმას თურმე უხარია, რომ დაიწვასო.

ყველა იმ მამულების პატრონებს, რომლებსაც ვერ მიუციათ ხსენებულ საზოგადოებაში მამული, ყოველ ღამე ყარაულები ჰყავდა, რომ საქონლის პატრონებმა, ან სხვებმა არ წაუკიდონ ცეცხლიო და ამის წყალობით, ერთ ღამეს ექვს ადგილას წაკიდებული ცეცხლი დააქრეს.

ამ პატიოსანი ხალხის გასაცნობათ ორ მაგალითს მოვიყვანთ, რომელიც საკმარისად დაგარწმუნებსთ ამათ ვინაობას:

პირველ ცეცხლის დროს აღმოჩნდა, რომ ერთ ქუთაისელ ვაჭარს ბ-ნ ხუნწარიას ჰქონია თავისი საქონელი 9,000 მანეთად საზღვეველში. ამას ზოგი საქონელი გადაურჩენია და ზოგი დასწვია (ზოგი კი ამბობს, სულ გადაარჩინაო). დამწვარი საქონელი 1,500 მანეთად მიუყიდნია და დანარჩენის მიცემას დაჰპირებია. როგორც თითონ ხუნწარია ამბობს, ამ აგენტს თავის სახელზე ორი ვექსილი რვაასი მანეთისა ჩამოურთმევია და ახლა ერთმანეთში რაღაც საჩივრები აუტყდათ და გამოაშკარავდა ეს საქმე. ახლა ვთქვათ, რისთვის უნდა იყოს ეს 800 მანეთი? ჩემის აზრით, იმისათვის რომ საქონელი ნახევარზე მეტი გადარჩენილი ექნებოდა და თავისთვის 800 მანეთს გამოართმევდა და იმას კი ოთხასი თუმნის საქონელს 1,500 მანეთათ შეაყიდდა. ამითი აქ ორივემ, ვაჭარმაც და აგენტმაც, ისარგებლა და სამოცი და სამოც-და-ათი მაღაზიის პატრო-

*) იხ. „დროება“ № 132.

ლის გამოთაც ჩამოერთვათ სამღვდელოებას ამორჩევითი უფლება, უკანასკნელი ადგილი არ უნდა ეკავოს იმ ხმას, რომელიც ასე გავრცელდა ამ უკანასკნელ დროს: სამღვდელოებაში ბლაღოჩინების ამორჩევის დროს გაიდგა ერთ გვარმა სენმა ფესვიო, რომელსაც ვერცხლის და ჯილდოს მოყვარეობას უწოდებენ; საბლაღოჩინო კანდიდატები წინათვე მოისყიდიან ვერცხლით ან ჯილდოს დაპირებით ამომრჩეველ მღვდლებს, და რაც უნდა უღირსი იყოს, იმას ამოირჩევენო, და ამ მიზეზით ხშირად პატიოსანი და ღირსი კანდიდატები, რომელიც ამ გვარ ხელობას არ კადრულობს, გაშავებული რჩებაო.

აი ჩვენის აზრით, ერთი მიზეზთაგანი იმისა, რომლის გამოთაც ეს უფლება ხელიდამ გამოერთვათ. რამდენათაც სწორი და საფუძვლიანი არის ეს ხმა, ამას ჩვენ არ შევეხებით აქ; მაგრამ, თუ, საუბედუროდ, ცოტა საფუძველი აქვს, ვინატროთ მალე მოისპოს ძირითურთ, რომ ჩვენს სამღვდელოებას სამუდამოდ არ ახდოდესთ ზემოხსენებული უფლება.

ყოველი ახალი რეფორმები გამომცემლებისაგან, რასაკვირველია, იმ მიზნით გამოიცემიან, რომ ახალი წესი უფრო გამოსადეგი და ნაყოფიერი იქნება თანამედროვე ცხოვრებაშიო; მაგრამ ჩვენ კი არა გვგონია, ამ ახალმა რეფორმამ სანუგეშო ნაყოფი გამოიღოს ჩვენს სამღვდელოებაში; არა გვგონია, რომ მათი ზნეობა და სინიდისი, თუ კი გასწორება ეჭირება, ამ გვარმა წესმა გაასწოროს.

ქაიხოსრო გელოვანი.

ახალი ამბები.

ქუდიანი-ვარსკვლავი ჯერ კიდევ მოჩანს, მაგრამ კუდი თან-და-თან უპატარავდება და სიბრწყინვალეც აკლდება იმას.

ხალხში, ჩვეულებრივად, ათას გვარი ხმებია გავრცელებული ამ კუდიან-ვარსკვლავის მოვლინების შესახებ. ზოგი ამბობს, დიდი ომის ნიშანიაო, ზოგი ერთი დიდი ხელმწიფის მიცვალებას მოელის, ზოგი-კი მეორედ მოსვლას.

შემახიიდამ იწერებიან გაზ. „კავკაზში", რომ მთელი აქაური ხალხი დარწმუნებულია, რომ ამ წლის 12 ნოემბერს მეორედ-მოსვლა იქნებაო, და ამის გამო ყველა ამ დღეს შიშითა და კრძალვით მოელიანო, სულის საქმეს შეუდგნენო.

მაგრამ არა თუ ჩვენში, თვით ევროპის ხალხიც შეუშინებია ერთს ამერიკელ ვარსკვლავთ-მრიცხველს, რომელიც აცხადებს, რომ ამ წლის 12 ქრისტეშობისთვეს, კუდიანი-ვარსკვლავი დაეტაკება დედა-მიწას და მტვრად აქცევს, სრულებით გააქარწყლებსო!

ამ გვარ რამეებს, რასაკვირველია, მარტო ცრუ-მორწმუნე და უმეცარი ხალხი დაიჯერებს...

***

ოც-და-სამს ამ თვისას, შუაღამისას, ქუკიაში, ნიკოლაევსკის ქუჩაში შესანიშნავი ამბავი მოხდა: ორთა ქალაქის პოლიციის მცველთა, ე. ი. გარადავოებმა: ივანე ბუტკევიჩმა და ანტონ მალევსკიმ გატეხეს ღვინის სარდაფი ნიკოლოზ ხეჩუმოვისა, გადაბრუნეს მთელი ავეჯეულობა ამ სარდაფში და იქვე დამთვრალნი არაყითა და ღვინით იგინი დაატუსაღეს. პატრონი ამ სარდაფისა ამბობს, რომ სამოცი თუმანი წაიღესო.

დამნაშავენი, გამომძიებელის ხოსროევის განჩინების ძალით, 25 ამ თვისას დაატუსაღეს და ჩასვეს ციხეში.

ამასაც მოვესწარით, რომ პოლიცია, ავაზაკებისა და ცუდ-კაცებისაგან ხალხის დაფარვის მაგიერად, თვითონ სტეხს დუქნებს და ჰკისრულობს ამ ავაზაკების ხელობას.

***

სომხურ გაზეთს „მეღუ ჰაიასტანში" იწერებიან, რომ თბილისიდამ შემახიისაკენ, შუშისა, ბაქოსა, ნუხისა და ზაქათალისაკენ მიმავალს გზებზე ისეთი შიშობა არისო, რომ მოგზაურს მშვიდობიანად გავლა არ შეუძლიანო, ავაზაკები გამრავლდნენ და მარტო მაისის თვის განმავალობაში ხუთი კაცი მოჰკლეს და 27 გაცარცვესო.

ჩემი პასუხი

იოანნე გრიგორის-ძეს ბერძენოვს

ყველაზე უწინარეს მიიღეთ ჩემგან ძმული მცირე დარიგება და შეითვისეთ, რომ ვინც კი ვიცით რაოდენიმე ჯღაბნა, წარა-მარათ როდი უნდა ვიხმაროთ და განურჩევლად როდი უნდა დავიწყოთ მარჯვნივ და მარცხნივ ლაპარაკი. მართალია, თქვენ შეიტყუეთ ქანთიელი საქმე; თუ რომ გინდოდათ ნამდვილის საქმის შეტყობა, ვითარ გონიერი კაცი, ეგრე უნდა მოქცეულიყავით; უნდა ჩემთვის გეცნობათ და შევეტყოთ ჩემგან ყოველივე დაწვრილებით ჯერ მანდ და შემდეგ ამისა უნდა აქ მოგეწერათ—თუ მანდ ვერა ჩამისილეთ. თქვენ კი მოიქეცით ფრიად ყმაწვილურად: თქვენ იცოდით ეს საქმე მანდ, არამედ დუმნობას მიეცით თავი თქვენი, როდესაც მოგცილდით, მაშინ აღატყნდნენ დაუძინებელნი მტერნი ჩემნი. ეს ტონი არ არის ტონი თქვენი, არამედ მტრისა ჩემისა.

შურმან არა უწყის პატივიო, ხომ გაგიგონიათ. ვის წინაშე ჰსჩივით? მთავრობისა და საზოგადოებისა წინაშე? ვინ არის მანდ უმაღლესი მთავრობა?—მის მაღალ-ყოვლად-უსამღვდელო უფალი ეკზარხი. რა იცით რომ არა მქონდა მისი კურთხევა და ნება? განა ჩვენმა მამათ-მთავარმან არ იცოდა ყოველის ფერი და არა იმის განკარგულებითა შევამზადე ლუსკუმა გარდასვენებულთა წმ. ნაწილითათვის?

ვინ არის მანდ საზოგადოება? რის გამოსაყენებელია ეს სიტყვა? ვის აღატყინებთ ამ მაღალის ეპიტეტით? რატომ არ მიუბრუნდით იმ საზოგადოებას თხოვნითა, რომ ყურადღება მიექციათ წმ. ნაწილთათვის და ვიდრე ორი არშინი დრებლა და მიწა გარდაეყარათ იმ წმიდის საფლავისაგან, და სრულიად ჩამონგრეული სამხრეთი წმიდის დოდოს სამარხოსა აღმოეშენათ,—და შემდეგ ამისა დაეყენებინათ კაცი, რომ თათრებს და ყაჩაღებს სადგურად არ გაეხადნათ!

უმორჩილესად ვითხოვ თქვენგან ბოდიშს, რომ უთქვენ დაუკითხველად დავიწყეთ ეს საქმე, და წმიდათა ნაწილთა მიიღეს უთქვენოთ შესაბამი პატივი და დაემკვიდრნენ თვისსა მოწაფესათანა.

განა საჩივრად უნდა გახადოს კაცმა, რომ სრულიად დაკარგულნი წმ. ნაწილნი და საფლავი წმიდისა ღმერთისა შეწევნითა, ვიპოვეთ და დავრძალეთ წმიდასა ეკკლესიასა შინა, და ცნობასა მივეცით? რა უკანონო საქმე მოვახდინეთ? რა ეკკლესიის გმობა გავავრცელეთ? მაშა სადამე გადატანა წმ. ნაწილთა მსოფლიოთა წმიდათა და ეგრეთვე რუსეთისაცა, გმობა და უკანონო იყო და არის? არა, ეკანონ და გმობა იქმნებოდა იქ დაყივნება და უყურადღებოდ დაგდება წმინდა დოდოს ნაწილთა. მაშ ისიც იგრე უნდა დაკარგულიყო, როგორც დაიკარგნენ საფლავნი წმიდათა გარეჰსჯისათა ლუკიანესი, პავლესი, ილოდოსესი, არსენისა, იოანნესი შიო-ახლისა და სხვათა მრავალთა, რომელთა მოთხრობანი შეგროვილიყვნენ ერთ წიგნში, რომელს ეწოდების „ჯვარ შემოსილი", რომელიც ერთ ეკზემპლიარათ იყო ნათლის-მცემლის მონასტერში და რომელიც ვითარცა მპარავი წარმოიღეთ სხვათ წიგნთა თანა უდაბნოდგან, როდესაც გამოვაძია მაკარიმ—და მიკიტანხანებში და იარმუკებში ჰყიდით ხოლმე. ამის გამო არამც თუ საუკუნოდ დავკარგეთ წმ. გარეჰსჯელთა საფლავნი, არამედ მათი ხსენებაცა. ვინმე მეწვრიმალე შესახვევლად იყიდდა მიკიტნისაგან იმ წიგნსა.

საუბედუროდ ჩვენდა მექლარუნეები მრავალნი არიან საქართველოსა შინა და მსმენელნიცა არა მცირედნი. ქაცმა ყოლადვე მართალი უნდა აღიაროს და თუ რასმე ჰსწყრ, უნდა გამოიწვლილოს: რატომ არ მიხველი წმ. დავით გარეჰსჯის წინამძღვართან და არ გამოიწვლილეთ მისგან ყოველის ფერი ამ საქმის გარემოება.

ნები კი თითქმის მიწასთან გასწორდნენ, დაღარიბდნენ, გაღატაკდნენ...

მეორე მაგალითი: ქალაქის ვაჭრის ალიბეგოვის პრიკაშჩიკს თავის ჩაისკლადი ჰქონია სტრახში შეტანილი და, როგორც ალიბეგოვის პრიკაშჩიკის სიტყვებიდამ სჩანს, ვითომც აგენტს უნდა სცოდნოდეს იმ კუთხეში ცეცხლის გაჩენა და, როგორც გარედან ჭორათ ამბობენ, ვერ მორიგებია ალიბეგოვის პრიკაშჩიკს და ამისათვის გ. ქობილიანსკის სტრახის ქაღალდის მოტაცება დაუპირებია, მაგრამ პრიკაშჩიკი მარჯვეთ დახვედრია და, ორიოდე პანჩურის კვრის შემდგომ, ქაღალდი გამოურთმევია ხელიდამ. ამბობენ, ამ საქმეზე სისხლის სამართლის წესით საჩივარია დაწყობილიო.

აი ამისთანა პირები რჩებიან პატიოსნათ ქვეყანაზე! ამათა აქვსთ მინდობილი კეთილი მიზნით დაწესებული საქმე აწარმოვონ!!

მაშ რათ იქმნება გასაკვირვი, რომ ხალხმა, რომელსაც ჩვენს ხელში არავითარი სარგებლობა არ უნახავს, თავისი მოკლე ჭკვით, აქედამ ის დასკვნა გამოიყვანოს, რომ ეს მთავრობის კაცების საქმეაო და სხვა მიზეზებსაც დაურთონ ამ ნაირი მიზეზები გადასახლების, და გადასახლდნენ?!

აქ დარჩენილ აჭარლებში ბევრს ჰქონდა ამ დამწვარ მამულებში დუქნები და ვაჭარი ეგონა თავის თავი, ეგონა, რომ მომავალში რაიმის პატრონი გახდებოდა, მაგრამ ამ ცეცხლის წყალობით თავიანთ ორიოდ კაპეიკს და ქოხებსაც გამოესალმნენ!

ვისაც არ დასწვია საქონელი, იმან ან ნახევარ ფასათ გაჰყიდა, ან სახლში წაიღო და ახლა ის, რომელიც ყანის მუშაობას გადაჩვევია და ვითომცვაჭრობით იქცევდა თავს, დღეს გულხელ დაკრეფილი დაეხეტება და ფიქრობს, ან ვისმეს წაართვას ძალათ, ან გადასახლდეს, რადგანაც უიმისოთ სახლში ბალნები მჭადს სთხოვენ და, ხომ მოგეხსენებათ, შიმშილს რა უძლეველი სიმაგრეების აღებაც შეუძლია?

ამ ნაირი ხალხის და საქმეების შემხედავმა ჩერქეზებმაც აუბეს ქარვანი და მიდიან. მაისში და იენისში ორი გემით, რომელიც ოსმალოს მუჰაჯირებისათვის ჰყავდათ გამოგზავნილი, უკანასკნელი 1,500 სული გადასახლდა. იმედს ვაცხადებთ, შემდგომ ბატ. სმეკალოვის მოსვლისა, რომ ეს ადამიანების ნახირათ გარეკა უკანასკნელი იქმნება...

არც იმის იმედი გვაქვს დაკარგული, რომ ბ. სმეკალოვი სრულ ყურადღებას მიაქცევს ქინტრიშის უჩასტკას, რომ ამდენი ავაზაკობა აღარ ისმოდეს.

ჩვენის აზრით, ამისთანა საქმეები მაშინ იქმნება მოსპობილი, როდესაც იმათი კანონიერი თხოვნა მოსმენილი იქმნება და იმათ ისე არ დაუწყებენ ცქერას, როგორც ტყის მხეცებს, და მერე იმისთანა პირები, რომლებიც იმათზე უარესი მხეცები არიან... რასაკვირველია, მკითხველი ამათი ვინაობის დასახელებას არ მომთხოვს, რადგანაც, ჩემგან დამოუკიდებელის მიზეზის გამო, ამ ბედნიერებას მოკლებული ვარ!

ბათუმში გავრცელებული ხმა იქაურ ნაჩალნიკს ბატ. ბაზზეუქოვზე იმდენათ საყურადღებოა, რომ თუ მარ

ვინ დაგარწმუნა, რომ წმ. ნაწილთათანა ჯვარი იყოს და საბინინმა წაილო საჩვენებლადო? აქ ვის რაში უნდა წმიდა ნინოს ჯვარი, თუ იყო კიდეცა? განა ის ჯვარია სამი ვერშოკის სიგძე გრაკლის მგონია ჯოხი, თავ და ბოლოში მოშპალი, გნებავს გამოგიგზავნო, დიდის სიამოვნებით,—მომწერეთ, მოგართმევთ და თქვენ თვითონ იხილავთ როგორი ჯვარი არის და თქვენს მთხრობელსაც უჩვენეთ გულის დასამშვიდებლად.

სწორეთ ამისთანა საქმე მიყო დიდმა განათლებულმან და მოღვაწემ წმ. ნინას არხიმანდრიტმან ევსტრატიმ, როდესაც წაველ წმ. ნინოში და მრავალი განძი წარვიღე და სამი თვე და ნახევარი, როგორც უბრალო მუშა, ემუშაობდი. ოდეს წმიდის ნინას ლუსკუმის დაყენებას შეუდეგი, ავიღე ჩემმიერ ჩემ ყმაწვილობისას გაკეთებული ლუსკუმა (ხისა) და მინდოდა დამედგა თეთრის მარმარილოს. როდესაც ავიღეთ ძველი ლუსკუმა, ზედ წმ. ნინას ქვეით, ძველს ხატზედ, ბაყაყებს დაებუდნათ. როდესაც ეს უჩვენე იქ მცხოვრებელთა დამცველთა, არც კი შერცხვათ და ეს მითხრეს საფლავიდგანაა, მტვრის გადაწმენდაც გვეშინიანო, არამც თუ იმის ქვეშაც ხელი შეგვეყოს და გამოგვეწმინდაო. როდესაც შევასრულე და წესი დაუდე და ჩამოველ ტფილისს, მაშინ ეკსარხოსს დანოსი გამოუგზავნეს ჩემზედო, სხვათა შინა შორის, რომ ამ კაცისაგან მოსვენება არა გვქონდაო და რამდენი შოთი შემეჭამოს, რამდენი ღვინო დამელიოს—ყოველის ფერი აღეწერათ. მაგრამ დიდმა უფალმან ეკზარხოსმან მიიყრუა ყური ყეფასა ზედა და თავიანთ საუბედუროდ ქაღალდი მიმაცემინეს, რომელშიაც აღუწერე ანგარება ამ არხიმანდრიტის, (რომელიც შემოწმებული გამართლდა ყოველი ჩემი მოხსენებული).

თქვენი საქმეც იმისთანა არის. ვის მხრივ ლაპარაკობთ? ვისთვის გწვეთ გული? მონასტრისათვის? რომლისათვის? წმ. ნინოს 1615 წელს გაუქმდა შაჰ-აბაზის დროს. მას შემდეგ ეკკლესია წმიდისა ნინოსი თათრებმა საცხვრე სადგომი გახადეს და ამ ათ წელიწადში სამხრეთისა ჩამოიქცა; თუ არა გჯერათ, წარვედ და იხილე;—ვიცი რომ ვერ წარხვალთ, სვინიდისი თქვენი არ შეგიშვებთ ორთა უდაბნოთა შინა, ამის გამოთ რომ რაც კი რამ კარგი წიგნი იყო სამიკიტანხანო გახადეთ—და ჩემ თვალ-წინ მლოცველთა რუსთა (უფრო მათუშკებსა), ქართველები სრულიად არ დაიარებიან, ურიგებდა ხოლმე ნაწილთა წმ. წამებულთა. რა მამი შენისა იყო, თუ შენი დედის მზითევში მოყოლებულნი იყვნენ წმ. ნაწილი წამებულთანი, რომ ისე ურიგებდი?! თქვენ შეაჩვიეთ რუსები წმ. ნაწილთა. მიდი, ნახე დავით გარეჯსჯასა რაღა დარჩა იმოდენა ნაწილებისაგან.—ჩვენ ვტირით, ვითარცა ვეშაპნი ნილოსანი, ვიღვდლით, რათა გამოვიძიოთ ჭამადი რაიმე, არამედ შიგნეულ ასპიდნი და ვასილისკოსნი ვართ...

არა, ბ. ბერძენოვ, ფრიად ჰსცდებით: არამც თუ რისხვა მივიღე, ვინც კი შეიტყო ჩემ მანდ ყოფნაში, მადლიც მივიღე, რამეთუ დაკარგული მოვიძიეთ—და წარყვნილი მიეცა ეკკლესიის პატივსა. ნეტარ ინებოს ღმერთმან, ვიშოვნო სადმე გადაწერილი „ჯვარ-შემოსილი", რომ იმით სხვანი საუკუნოთ გადაკარგულნი მოვიძიოთ და მეოხად ვიხადოდ იგინი.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს ქვეყანაში არიან სამღვდელოში იმის თანალვთიავ განბრძნობილნი და კეთილ ჰსწავლულნი და პატივცემულნი პირნი, რომელნიცა გონიერად შეხედავენ ამ საქმესა და ამ ჩემს მოქმედებას შანტაზობას არ მირაცხამენ, არამედ ფრიად დიდს სიყვარულებასა საქართველოს ეკკლესიისა, რომლისათვის გამომიდვია ჩემი თავი და ყმაწვილობა—და ამათ, შემდევ ვინც რა უნდა თქვას, „განა იერუსალიმს ძაღლი არა ჰყეფს."

შარშან (1880 წ.) 16 მარტსა დილით ადრე აღვდეგით ერთბაშათ წმ. დავითის მონასტრიდგან ორი მღვდელ მონაზონნი, ორი მთავარ დიაკონნი, მე ცოდვილი, სამი მორჩილნი მონასტრისანი, წარვიღეთ თან შესამოსელნი, კეროვანნი, საკმეველნი და იარაღნი; შემდეგ ულალ-მაღალ მთებში თრევისა მივედით წმ. ნინოს მონასტერში. სრულიად გადმონგრეულში, ძვლივ მივაგენით წმ. ნინოს სამარხო, რამეთუ პატარა ეკკლესია, რომელშიაც ესენი გადმონგრეულა და დრემლით და მიწით აღმოვსებულია

შემდეგ დიდისა მუშაობისა აღმოვწმინდეთ, მონაზონნი შეიმოსნენ პარაკლის ხდომით, მუხლ მოდრეკილნი აღმოვასვენეთ წმიდანი ნაწილნი ღირსისა ნინოსი, რომლისა საძარხოში ტალახი იდგა, ხელის ჩასაყოფიდგან უდენია წყალსა და თურმე წლითი წლათა ამოიმსებოდა ხოლმე, რაკი წყალს მრტი გასავალი არ საიდ არა ჰქონია, იმ წყალს ჩაუშლია გვამი ღირსისა, თორემ სრულიად შეუხებელი იქმნებოდა.

აღმოვასვენეთ დიდის მოწიწებით, ცრემლით და გოდვით—და ისრევ პატიოსნათ დავკრძალეთ ძველი სამარხო და გალობით წარვასვენეთ წმ. დავითის მონასტერში. ზარის რეკვამ მოგვაგება თვისი ხმა და ცრემლოვანნი მივედით უდაბნოს და, როგორც შეეხებოდა ღირსსა, ისრე დაიკრძალა შესაბამ ადგილსა—ისევ მოძღვარი მიემთხვია მოწაფესა თვისა.

ფრიად კარგი და უმჯობესი იქმნებოდა წმიდის ნინოს მონასტრის განხსნისა, მაგრამ მიკიტანხანებს, ცირკებს, პალუჩის ბალკებს, მუშტაიდებს და მისის თანამხრებს მტილებს რაღა გადაურჩა? განა თვით წინამძღვრები არა ცდილობენ მონასტრების მოსპობასა. მაკარიმ და პროკურორმან ეს აზრი შეიტანეს სინოდში, რომ წმ. ნათლის-მცემლის მონასტერი ხაშმზედ გადავიტანოთო, რაკი მონასტერში წყალი არ არისო. რა უბედურებაა, როდესაც იმ უდაბნოში ორასი, სამასი მონაზონნი მოღვაწენი იყვნენ, წყალი ჰყოფდათ და როდესაც ერთ ნახევარი დარჩა, წყალი დაეშროთ? ვინ გააუქმა წმ. შიოს ლავრა? ვინ გააუქმა წმ. სტეფან ხირსელის მონასტერი? ვინა ჰსპობს ქვათახევის მონასტერს?—მე რომ არ გითხრა, ყველა ეს შენ კარგათ იცი უფრო ჩემზედ. დიდი მადლობა გრიგოლი დადიანს, რომ ყურადღება აქვს წმ. დავითის მონასტრისათვის, მიაგოს მას ღმერთმა ნუგეში საუკუნო და იღუმენი ნინასაც.

მე ამ პასუხს არ დაგიწერდი, მაგრამ მაიძულებს ფრიად სიყვარული ჩემისა ეკკლესიისა და პატიოსნობა სამწყემსოსა მისისა.

შორ და მშვიდობით, მაგრამ წიგნებს ნულა დაგვიკარგავ, უმჯობესია მათი მოპოვნა.

მ. საბინინი.

პეტერბურღი, 18 ივნისს.

ნარევი

საშინელ დრამას სწერენ ბერლინის გაზეთებში. მიზეზი ამ საშინელი მოვლინებისა უთვილა სიღარიბე. ერთი საცოდავი წიგნების ყდის მკეთებელი შტორი, 39 წლისა, თავის ცოლით და სამის შვილით მდგარა ერთ პაწაწა ქოხში. უბედური უთვილა ჩლექი და ამისათვის მუშაობა ვეღარ შეუძლია და ამის სახლობა ამ მიზეზის გამო საშინელ სიღარიბეში ჩავარდნილა. ცოლი თურმე ბევრჯელ ეუბნებოდა მეზობლებს, თუ ჩემი ქმარი მოკვდა, მეც თან გადავჰყვებიო. და მართლათაც, აი რა მოახდინა იმან:

როგორც სული განუტევა ქმარმა, ცოლმა მაშინვე მორთო თავის სამი შვილი, თითონაც მოირთო, ჩაკეტა კარი და ფანჯარა, დაალვია მაყალზე ნახშირი და დაწვა შვილებით. მეზობლებმა, დიდხანს, რომ ვერავინ ნახეს გარეთ გამოსული, შეამტვრიეს კარები და შემდეგი საშინელი სურათი წამოუდგა იმათ თვალწს: ლოგინზე იდო მკვდარი მამა, იმის გვერდით ექვსი თვის ბავში სხვა-და-სხვა ძონძებით მორთული; ერთ კუნჭულში ძველ დივანზე გადასვენებულნი ორი უფროსი შვილები, დედა სკამზე იჯდა და ისიც მკვდარს ემგზავსებოდა.

საწყალოთ მოწვეულმა ექიმმა შეამოწმა მამისა და სამი შვილის სიკვდილი და დედაში კი კიდევ იყო სიცოცხლის ნი-

---

თალი გამოდგა, რასაც ამბობენ, ისიც საკმარისია მთავრობისათვის. მაგრამ რა დასარაჯებელია, რომ ქობულეთლისთანა თავმოყვარე ხალხს მუხტარი ჯოხით გაულახოს და ხალხის გარდასახადი, რომელიც მთავრობისაგან ჰქონდათ ნასესხი სიმინდი, ოსმალოში გარდასახლების მიზეზით, ამ სიმინდის ნაცვლათ ფული, ფუთში კაპ. გადაახდევინოს და ამ ფულით თითონ მერე ხაზინაში შესატანათ სიმინდივე იყიდოს, რადგანაც, გადასახლების მიზეზით, ეხლა აქ ფუთი 30-40 კაპ. იყიდებაო?!

თუ ეს სიტყვები ნამდვილი გამოდგება, რასაკვირველია, მაშინ უფრო გვექნება საბუთი, რომ აქაურ სოფლ[illegible] ხალხზე ვსთქვათ: „მაენი მხეცე[illegible]ხან, კაცისა არა-რა ესმისთ და [illegible]ნაირათ მოპყრობა უნდაო."

ცოდვა არ არის, რომ ამისთანა განათლებული და ახალი აზრების მქონე კაცები ამისთანა ტყის ხალხის მწყემსები იყვნენ, როდესაც უფრო ვრცელი ასპარეზი აქვსთ მზათაო..."

ასპარეზი ჩვენს ბათუმში ბევრია, მაგალითად, ხალხის სახელით ხალხის მოტყუება, „აბდულ-კატობა", მწერლობის მკილავი „. . . . . ." (უკაცრავათ, კრიტიკოსები),—ერთი სიტყვით, ამისთანა საზოგადოება რამდენი გნებავსთ! ჭორების წარმომადგენლების—ქალების როლს აქ ამისთანა კაცები თამაშობენ,—როგორ მაგალითად „ბაღდადელი სიმონიკა" ზელალათიდამ გამოქცეული ბერი, მაქსიმელაი" და გორელი „ბაპკა ბიჭი", რომლების წყალობითაც აღმოჩნდა, რომ „დაკარგული" თუ არ ვიცათ, „შექმული" თეატრის ფულების დაფარვის, უმთავრესი თუ არა, პირველი მიზეზები ესენი ყოფილან, და უბრალო ხალხს ჩირქსა სცხებენ. ნამდვილი ყოფილა, რომ ამბობენ: „ბულბულს რომ წინამძღოში ყვავი ეყოლება, ნისკარტი ყოველთვის ბინძურათ ექმნებაო." ეს ანდაზა ამისთანებზეა ნათქვამი, რადგანაც საზოგადო საქმეებში რომ ამისთანა წინამძღომელი იქმნება, იმ საქმის ბოლო ასე იქმნება, როგორც პირვანდელი წარმოდგენების საქმე. ჩვენ სხვა არაფერი დიგვრჩენია, რომ ერთჯერ და უკანასკნელათ საყვედური უთხრათ იმ საქმის პირველ მოთავეს, რომ თავისი გაჩუმებით, ამისთანა ჩირქ შეცხებული ხალხის ჩირქი თავზე აიღო და თავისი სიჩუმით არ მისცა ხალხს ხელში.

[illegible]რამ, მაგრამი ეს არის, რომ თეატრის თულებმა თქვენი ჭირი წაიღოს; ეხლა, თუ არა ვსცდები, ბატ. ჭამაროვის ხელის-მოწერით, სკოლისათვის მოგროვილი ფულიც „კონკრუსშია"... რა საკვირველია, ბატ. ჭამაროვი აქ ვისმეს გადასცემდა, მაგრამ, ამის შეტყობა მათ უფრო სასარგებლოთ უნდა მიაჩნდესთ ინიციატორებს, რომ შემდეგისათვის თუ განიზრახვენ ამნაირ კეთილ საქმეს, ხელის მომწერლებს არავითარი ეჭვი დარჩებათ, რომ მათი შეწირული ნამდვილ გამოცხადებულ მიზანს მიაღწევს და არ ასცდება დანიშნულ საგანს.

კრაზანა

ბათუმი, 15 ივნისს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შანი. ის გადიტანეს ლაზარეთში, სადაც ორი დღის სიცოცხლის შემდეგ, უგრძნობელათ გეემგზავრა თავის სახლობასთან. ამ საშინელმა დრამამ გააოცა მთელი ქალაქი.

* * *

გამოჩენილი ინგლისის ისტორიკოსი ტომას კარლეილი სამი თვით მოვიდა ორლეანში. ეს ძრიელ დაუახლოვდა ეპისკოპოს დიუპანლუს. ეს ორი სწავლულნი ძალიან დამეგობრდნენ და თითქმის მთელ დღეებს ერთათ ატარებდნენ. მესამე თვეს დიუპანლუმ ჩამოუგდო კარლეილს ლაპარაკი იმაზე, რომ, გწუხვარო, რომ შენისთანა შესანიშნავი მწერალი ურწმუნოაო. კარლეილმა უპასუხა ღიმილით: „მონსინიორ გარწმუნებთ, რომ მე მწამს ბევრი რამ იმისთანა, რაც თქვენ არ შეგეხებათ, და თქვენ გწამთ ის, რაც მე სრულიათ არ მესმის. და რომ შევადაროთ ორთავემ ჩვენი წამება და ურწმუნება, მე დარწმუნებული ვარ თქვენ ბევრით ურწმუნო გამოსვალთ ჩემზე“. ამ დღიდგან ამათში ლაპარაკი აღარ ყოფილა სარწმუნოებაზედ.

* * *

სამს აპრილს ამ წლისას აღწერა იყო ლონდონის მცხოვრებლებისა. იმათი რიცხვი შეადგენს: 3,814,571 სულს. 1871 წელსა ლონდონში სცხოვრებდა 3,254,260 სული, ასე რომ ათის წლის განმავალობაში, გაიზარდა ლონდონში მცხოვრების რიცხვი 566,311 კაცით.

განცხადებანი

თბილისის სამოქალაქო გამგეობაში, დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 1 საათამდის, მიიღება ხელ-ისმოწერით შესაწირავი ბავშვების თავ-შესაფარი სადგომის (პრიუტის) ასაშენებლათ ტბილისში **იმპერატორის ალექსანდრე II** სახელობაზედ. (3—2)

ინგლისის მაღაზიაში

მოსახურავი 4 მანე., ნასოსები 1 მ., დასაკეც სკამები 2 მ., სკამიანი ჯოხი 4 მ., კრავატიანი კრესლო 10 მ. დაწყებული, ფილტრები 4 მ., ქინძისთავების შესანახავი 50 კაპ., ხრუსტალის ჩაის სტაქნები 25 კაპ. და 30 კაპ:, ლეპიოშკები და პასტილა თამბაქოს მხმარებლებისათვის 60 კაპ. ინგლისური ვანნები და სხვა. (20—9)

ჯანჯულაზოვების მოსკოველ მოვაჭრეების ვექილი

პ. მ. ლებედინსკი

ჰკისრულობს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების წარმოებას თფილისის სასამართლოებში და სამოსამართლო პალატაში რჩევას მუქთად აძლევს.

მთხოვნელებს მიიღებს მუდამ დღე ნაშუადღევის 5 საათიდამ 7-მდინ, შაბათსა და კვირას გარდა. ადრესსი: გალავინის პროსპ., მირიმანოვის სახლი, „საქართველოს“ სასტუმროში. (6—3)

იყიდება საკრავი მაშინა, ორი საცვალით, თექვსმეტი იტალიური სხვა-და-სხვა ხმებით, დიდი კაკლის საათიანი შკაფით. ადრესი: ჩუღურეთი, ტუზოვის სახლი № 27. (3—3)

თბილისის სამოქალაქო გამგეობაში, დილის 9 საათ. ნაშუადღევის 1 საათამდის, მიიღება ხელის მოწერით შესაწირავი მოსკოვის კრემლში ძეგლის ასაგებათ მიცვალებულის, ნეტარ-ხსენებულის და საუკუნოდ სადიდებელათ ღირსეულის ხელმწიფის **ალექსანდრე ნიკოლოზის-ძის** სახელობაზედ. 3—2

ლონდონის მაღაზია კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შჩოტკებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩევინი ზეთისა) და სხვ. საავგენტო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატკჲერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჰავანას სიგარები. (100—90)

სოფლისათვის მოსახურავები 4 მან.; დასაკეცი კრესლოები 2 მ. და 50 კაპ. და კრაოტები 8 მანეთიდამ; სკამიანი ჯოხები 4 მან., ლამაკები 14 მან., კრესლოიანი კრავატები 10 მანეთიდამ; ბაკლები 15 კაპ. ესტრაკტი-ყავა, კაკაო, თოფები, რევოლვერები, პირის-სახოცები, საწერი მასალეები, კალმები, და სხვ. და სხვ.

ინგლისის მაღაზიაში.

(10—3)

სიყვარულის კონა.

ლექსები, კომედია და დალისტნელი ლეკის ამბავი, თხუზულება დიმიტრი ნადიროვისა. დაიბეჭდა და ისყიდება ქქ. ტბილისს, ქუთაისს, გორს, სიღნაღს და თელავს წიგნების მაღაზიებში.

ფასი ყველგან ერთი აბაზი.

(5—3).

ინგლისის მაღაზიაში

თმის ამო-მყვანი



მაქ-მასტერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

(150—109)

ლონდონის მაღაზია

ერევნის მოედანზე № 2, კომერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა პიახტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად და ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შჩოტკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ...

(100—91)

მიუხედავათ იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერ ჰი 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში.** საავგენტო ბარნსბის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ექსტრაქტისა კაკაო ფრაის რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. გაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხვლების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა. (100—74)

მოსახურავი 4 მანეთად, ნასოსები 1 მან., დასაკეცი სკამები 2 მან., სკაფიანი ჯოხი 4 მან., კრავატიანი კრესლო 10 მან. დაწყებული, ფილტრები 4 მან. ქინძისთავების შესანახავი 50 კაპ., ხრუსტალის ჩაის სტაქნები 30 კაპ. თითო, ინგლისური ვანნები და სხვ. **ინგლისის მაღაზიაში.**

10,000 რწყვილი ქალის წინდები 25 კაპ. დაწყებული 75 კაპ.-დისინ, 10,000 რწყვ. კაცის წინდები 35 კაპ. 1 მან.-დისინ, 7,000 პადნოსები 5 კაპ.—5 მან.-დისინ., 1,000 კრავატები 5—35 მან.-დისინ, 400 არშინი ბოძაზეი 1 მ.—1 მან. და 30 კაპ.-დისინ, 800 არშ. პარუსინა 40 კაპ.—1 მ.-დისინ, 300 რევოლვერი 4 მ.—35 მ.-დისინ, 200 ალბომი ნახევარ ფასად. 10,000 გირვანქა მშვენიერი ჩაი თავის ჩაინიკებით 1 მ.—65 კაპ., რკინის კალმები ყველა გვარ ხელისათვის. (15—9)

ისყიდება ინგლისის მაღაზიაში

30%-ზე უფრო იაფად, ვიდრე სადმე სხვაგან: მურაბა, კაკაო, ბრინჯი, ჭურჭლეულობა, ბაკლები, ტაშტები, პირის დასაბანები, ჩაინიკები, სტაქნები, პადნოსები, კლიტეები, დანები, კოვზები, კალმები, ქაღალდი, კარანდაშები, რვეულები, თოფები, რევოლვერები, ალბომები, კრაოტები, ტანსაცმელი, ტრიკო, პარუსინა, ცხვირ-სახოცები, პირსახოცები, კლეონკა, კაცის და ქალის წინდები, უნაგრები, პორტვეინი, ხერესი, კონიაკი და სხვ. ჩაი პარტიებით გაჭრებს ფუთობით 44, 46, 48, 50, 52, 54 და სხვ..

იქვე იაფად: შერბეთი, მაგნეზია და წყურვილისაგან ლეპიოშკები, ციებისაგან ქინაქინას ღვინო, კარბოლის პარაშოკი, საპონი და წამლები ეპიდემიისგან დაცვისა, მედიკური ქაღალდი ფეხის-ალაგებისათვის, სპარსეთის პარაშოკი და სხვ.

(15—10)

ჩარკვიანის და ამხ.

წიგნის მაღაზია

გადავიდა თ. მუხრანსკის სახლებში, ატამანის ქუჩაზე, საქართველოს კონტინიცის პირდა-პირ № 15. 5—5

ბიბლიოგრაფიული განცხადება.

დედა-ენა ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახალხო სკოლებში სახმარებელი, მესამე გადასწორებული გამოცემა. ამ გამოცემაში ჩამატებულია ოცზედ მეტი ახალი ხალხური მოთხრობა და ლექსი; ახალი ანდაზები და გამოცანები, შესწორებული შინაარსი და ენა სტატიებისა და რამდენიმე ახალი სურათი არის ჩართული. ისყიდება გამომცემლის ბრიქუროვის მაღაზიაში კუკიის ხიდის ყურში. ფასი ექვსი შაური. მაგრამ წიგნი ხუთშაურათ დაეთმობათ სახალხო სკოლებს და სხვა სასწავლებლებს, როცა იყიდიან ნაღდს ფულზედ ოც-და-ათს ეგზემპლიარსა და კერძოპირებს, როცა წაიღებენ ასს ეგზემპლიარსა.

ბუნების კარი ანუ საკითხავი წიგნი უმცროს კლასებში სახმარებელი, მესამე გამოცემა შევსებული ახალი სტატიებით და შემკული სურათებითა და საქართველოს კარტითა; ფასი თხუთმეტი შაური. ისყიდება ვარ[illegible]ანოვთან და სხვა წიგნების მაღაზიებშიაც. ეგზემპლიარი დაეთმობა თოთხმეტ შაურათა, ვინც თხუთეტს ეგზემპლიარს ერთათ ნაღდს ფულზედ იყიდის, ცამეტ შაურათ, ვინც ერთად წაიღებს ოც-და-ათს ეგზემპლიარსა და სამ აბაზათ ასი ეგზემპლიარის ერთათ მყიდველსა.

ვისაც სურს ან პირველი ან მეორე წიგნი ფოსტით ჩასმული მიიღოს, წიგნის ფასს უნდა სამი შაური დაუმატოს.

როგორც **დედა-ენა**, ისე **ბუნების კარი** მოწონებულნი არიან (**рекомендованы**) და სახელმძღვანელოდ დადებულნი პეტერბურღის მსწავლულთა კომიტეტისაგან, განათლების მინისტრის დამტკიცებით.

(10—6)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 26 Іюня 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი